

სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში სხვადასხვა ტიპის 30 დავალებაა. ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 3 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-24, 30.1-30.2)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში დასვით X ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. მოტივაციის განმაპირობებელ ფაქტორთაგან რომელი არ წარმოადგენს გარეგან მოტივატორს?

ა) ფულადი ჯილდო;

ბ) საქმისადმი ინტერესი;

გ) კონკურენტული გარემო;

დ) საზოგადოებრივი აზრი.

2. საქართველოს კანონმდებლობით, როგორ განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეობის არსი?

ა) პირის სამართლებრივი კავშირი სახელმწიფოსთან;

ბ) საერთო ეთნიკური წარმომავლობის მქონე ინდივიდთა ერთობა;

გ) პიროვნების კონფესიური მიკუთვნებულობა სახელმწიფო რელიგიასთან;

დ) საზოგადოებისა და ინდივიდის ურთიერთთანამშრომლობა საერთო მიზნის მისაღწევად.

3. რა ეწოდება სამართლის რომელიმე დარგში არსებული ნორმების კრებულს, რომლის შინაარსი ერთიანი სისტემური საკანონმდებლო აქტითაა წარმოდგენილი?

ა) კოდექსი;

ბ) რეზოლუცია;

გ) პროტოკოლი;

დ) მემორანდუმი.

4. საქართველოს ხელისუფლების რომელი ორგანო ახორციელებს მართლმსაჯულებას?

ა) სასამართლო;

ბ) პარლამენტი;

გ) სახალხო დამცველის აპარატი;

დ) შინაგან საქმეთა სამინისტრო.


- 5.** რომელი საერთაშორისო დოკუმენტი მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1948 წლის 10 დეკემბერს?
- ა) ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი;
 - ბ) რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია;
 - გ) ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
 - დ) ბავშვის უფლებების კონვენცია.

6. რა განსხვავებაა ფორმალური და არაფორმალური ჯგუფების ტიპებს შორის?

- ა) ფორმალური ჯგუფი გარკვეული სარგებლის მისაღებად ერთიანდება, მაშინ როცა არაფორმალურ ჯგუფს საერთო ინტერესები არ გააჩნია;
- ბ) არაფორმალური ჯგუფი შემთხვევითობის საფუძველზე ყალიბდება გარკვეული მიზნის მისაღწევად, ხოლო ფორმალურ ჯგუფს საერთო მიზანი არ გააჩნია;
- გ) როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური ჯგუფები საერთო მიზნით და მოტივით იქმნებიან, თუმცა მათ შორის განსხვავება ამ მიზნის მიღწევის მეთოდებშია;
- დ) ფორმალური ჯგუფის ჩამოყალიბებას საფუძვლად საერთო საქმიანი ურთიერთობები უდევს, ხოლო არაფორმალური ჯგუფი პირადი სიმპათიების საფუძველზე ყალიბდება.

7. რა ეწოდება ეკონომიკაში იმ საგნის ღირებულებას, რომელზეც უარს ვამბობთ არჩევანის გაკეთების დროს?
- ა) საბაზრო ღირებულება;
 - ბ) მინიმალური ღირებულება;
 - გ) აბსოლუტური ღირებულება;
 - დ) ალტერნატიული ღირებულება.

8. ილუსტრაცია ასახავს კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის ორ სხვადასხვა სტრატეგიას. რა უნდა ეწეროს კითხვის ნიშნის ნაცვლად?



- ა) არიდება;
- ბ) კომპრომისი;
- გ) კონკურენცია;
- დ) თანამშრომლობა.

9. რა ეწოდება ქმედებას, რომელიც საზოგადოების ან კერძო პირის კულტურული და მატერიალური ფასეულობების დაზიანების ან განადგურების მიზნით არის ჩადენილი?

ა) რესტავრაცია;

ბ) ვანდალიზმი;

გ) რეაბილიტაცია;

დ) ექსპლუატაცია.

10. რომელი მსჯელობაა მართებული პიროვნების ღირებულებებისა და პრინციპების შესახებ?

ა) პიროვნება საკუთარ პრინციპებზე დაყრდნობით აყალიბებს თავის მსოფლმხედველობას, ხოლო ღირებულებები საზოგადოებისაგან თავსმოხვეული შეზღუდვებია;

ბ) საერთო ღირებულების მქონე პიროვნებებს ყოველთვის საერთო ცხოვრების პრინციპები გააჩნიათ, ამდენად ისინი ყოველთვის ერთიან სოციალურ წრეს წარმოადგენენ;

გ) პიროვნების ღირებულებები მიგვანიშნებს ამ პიროვნების ეკონომიკურ სტატუსზე, რომლის საფუძველზეც ეს პიროვნება სხვა ადამიანებთან თანხმდება გარკვეულ საერთო ქცევით პრინციპებზე;

დ) პიროვნების ღირებულებები მიგვანიშნებს, თუ რა არის მისთვის მნიშვნელოვანი და ფასეული, ხოლო პრინციპები ამ ფასეულობათა მიღწევისა და შენარჩუნების მიზნით შემუშავებული ქცევის ზოგადი წესებია.

11. რომელი განმარტება გამოხატავს მართებულად სტერეოტიპის შინაარსს?

- ა) ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფზე საზოგადოებაში არსებული მყარი წარმოდგენა, რომელიც მრავალწლიან გამოცდილებასა და არაერთ სამეცნიერო კვლევას ეფუძნება;
- ბ) ადამიანთა ჯგუფების კატეგორიზაცია მათი რელიგიური ღირებულებების საფუძველზე, რომლებიც არაერთხელ გამხდარა მიზეზი რელიგიური ომების საწარმოებლად;
- გ) ადამიანების გარკვეულ ჯგუფზე გავრცელებული ზედაპირული წარმოდგენა, რომელიც ამ ჯგუფის ერთი ნაწილისთვის დამახასიათებელ თვისებებს მთელ ჯგუფზე განაზოგადებს;
- დ) გარკვეული სოციალური ჯგუფისთვის დამახასიათებელი დადებითი ნიშან-თვისებების უგულებელყოფა და მხოლოდ უარყოფით მახასიათებლებზე ყურადღების გამახვილება.

12. რა ეწოდება ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის დროებით დაკავებას, ამ სახელმწიფოზე სუვერენული უფლების მოპოვების გარეშე?

ა) გენოციდი;

ბ) ოკუპაცია;

გ) სეგრეგაცია;

დ) სეპარატიზმი.

13. სახელმწიფო მმართველობის რომელ ფორმას ეწოდება „უმრავლესობის შეზღუდული ძალაუფლება“?

ა) არისტოკრატია;

ბ) დემოკრატია;

გ) დიქტატურა;

დ) ავტოკრატია.

14. მიუხედავად იმისა, რომ კერძო საკუთრების ფლობა მოქალაქის ერთ-ერთი ძირეული უფლებაა, მთელ რიგ შემთხვევებში სახელმწიფოს აქვს მისი ----- უფლება. მაგალითად, თუ ეს საკუთრება მოქალაქემ დანაშაულებრივი გზით დააგროვა.

ა) ინვესტირების;

ბ) რეგისტრაციის;

გ) კონფისკაციის;

დ) ლეგალიზების.

15. დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქეები ნებაყოფლობით ირჩევენ ხელისუფლებას და აღიარებენ მის ძალაუფლებას. ასეთი ხელისუფლება ----- ითვლება, ის ხალხის ნებაზეა დამოკიდებული და ცდილობს, რომ არ დაკარგოს მხარდაჭერა და პასუხისმგებლობით მოეკიდოს საქმეს.

ა) ლეგიტიმურად;

ბ) თეოკრატიულად;

გ) ავტორიტარულად;

დ) რატიფიცირებულად.

16. რა იდეას გამოხატავს მოცემული ილუსტრაცია?



- ა) მდგრად განვითარებას;
- ბ) ეთნიკურ შემწყნარებლობას;
- გ) ეკოლოგიურ უსაფრთხოებას;
- დ) რელიგიურ მრავალფეროვნებას.


17. გაეცანით სიტუაციას და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვას:

ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელიც საკუთარ თავს პატრიოტულად მოიაზრებს, შექმნა რამდენიმე მცირე დაჯგუფება, რომელთა მიზანიც ქვეყანაში არალეგალური მიგრანტების გამოვლენა და მათი სამართალდამცავებისთვის გადაცემა იყო. ამისთვის ისინი ქუჩებში აჩერებდნენ არაქართულენოვან ადამიანებს და ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი საბუთების წარდგენას თხოვდნენ. თავისი საქმიანობის განმავლობაში მათ მოახერხეს და გამოავლინეს სამი არალეგალური მიგრანტი, რომლებიც ყოველგვარი დამადასტურებელი საბუთის გარეშე ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე. სამართალდამცავთა რეაგირების შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციამ ქუჩებში პატრულირება შეწყვიტა.

ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული სამართლებრივი კუთხით?

- ა) მსგავსი პატრულირება კანონდარღვევაა, რადგან სამართალდამცავთა ფუნქციებში ჩარევას წარმოადგენს;
- ბ) არასამთავრობო ორგანიზაციას იმიტომაც ჰქვია არასამთავრობო ორგანიზაცია, რომ მას საქმიანობისათვის არ სჭირდება მთავრობის ნებართვა;
- გ) მიგრაციის პრობლემა მართლაც სერიოზული პრობლემაა და თუ სახელმწიფო არ აგვარებს მას, მაშინ მოქალაქეებს აქვთ ინიციატივის თავის თავზე აღების უფლება;
- დ) მისასალმებელია სამართალდამცავების მოქმედება, ვინაიდან ზოგადად არასამთავრობო ორგანიზაციები ანტისახელმწიფოებრივად მოქმედებენ და მათი გაკონტროლება აუცილებელია.


18. დიაგრამაზე მოცემულია 2019 წელს საქართველოში არარეზიდენტთა ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მონახულელებული რეგიონების მიხედვით (წყარო: საქსტატი):



რომელი მსჯელობა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

- ა) III კვარტალში ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა ყველაზე მაღალი სამცხე-ჯავახეთშია;
- ბ) IV კვარტალში ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში თანაბარია;
- გ) მცხეთა-მთიანეთში პირველ სამ კვარტალში ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა იყო მზარდი, ხოლო ქვემო ქართლში - კლებადი;
- დ) ვიზიტების ყველაზე მაღალი საშუალო თვიური რაოდენობა ყველა რეგიონში III კვარტალში დაფიქსირდა.

19. დიაგრამაზე მოცემულია საქართველოში დემოკრატიის ინდექსი 2006-2018 წლებში (წყარო: Economist Intelligence Unit):



რომელი მსჯელობა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

- ა) სამოქალაქო თავისუფლებების მაჩვენებელი 2006 წელს უფრო დაბალი იყო, ვიდრე 2017 წელს, რამაც მთავრობის მუშაობის მაჩვენებლის ზრდა განაპირობა;
- ბ) საერთო ქულა 2018 წელს 2017 წელთან შედარებით შემცირდა, რაც სამოქალაქო თავისუფლებების გარდა ყველა სხვა მაჩვენებლის კლებამ გამოიწვია;
- გ) საარჩევნო პროცესისა და პლურალიზმის მაჩვენებელი ყოველ წელს ყველაზე მაღალი იყო, ამასთანავე, პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელი ყოველ წელს იზრდებოდა;
- დ) პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელი საქართველოში მუდამ საშუალო ან საშუალოზე მაღალი იყო, შესაბამისად, ის არის ძირითადი გავლენის მომხდენი საერთო ქულაზე.

20. ყურადღებით გაეცანით ამონარიდს სტატიიდან და უპასუხეთ კითხვას:

ინტერნეტის გამოგონება ზოგიერთს ისეთივე მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნია, როგორც თავის დროზე ბორბლის გამოგონება იყო. ამ გამოგონების მომხმარებელი მსოფლიოში უფრო და უფრო მეტი ადამიანი ხდება. თუკი 2000 წელს მსოფლიოში ინტერნეტს დაახლოებით 400 მილიონი ადამიანი მოიხმარდა, 2019 წელს მათი რაოდენობა 4 მილიარდამდე გაიზარდა. ამ დარგის სპეციალისტების აზრით, 2025 წლისთვის ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა მთელი მსოფლიოს პოპულაციის 75% იქნება.

სხვადასხვა კვლევის მიხედვით, ყველაზე დიდი პოპულარობით სოციალური ქსელები სარგებლობს. ისინი მომხმარებლებს საშუალებას აძლევს დიდ აუდიტორიაზე გაავრცელონ მათთვის სასურველი ინფორმაცია. სოციალურ ქსელებს სხვადასხვა კომპანია და სახელმწიფოც კი დიდი წარმატებით იყენებენ. ამან გარკვეული პრობლემებიც გამოიწვია. კერძოდ, შეიქმნა ყალბი ინფორმაციის გავრცელების პრეცედენტები, რაც მომხმარებლების გამიზნულად შეცდომაში შეყვანას ითვალისწინებს.

მაგალითად, რომელიმე სახელმწიფოს შეუძლია სხვა სახელმწიფოს საპრეზიდენტო არჩევნების დროს კანდიდატების შესახებ განზრახ არასწორი ინფორმაცია გაავრცელოს და ამით გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე. პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ფაქტი საფრთხეს უქმნის ამა თუ იმ ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესს, რაც აუცილებლად უნდა იქნას დარეგულირებული. ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში მიზანმიმართულ დეზინფორმაციასთან და ყალბი ამბების გავრცელებასთან ბრძოლის ახალი ფაზა დაიწყება, რაც უზრუნველყოფს როგორც მათი ნეგატიური გავლენის შემცირებას, აგრეთვე სიტყვის თავისუფლების მაღალი სტანდარტის შენარჩუნებას.

ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობა წარმოადგენს ფაქტს?

- ა) ინტერნეტი მსოფლიო ისტორიაში ისეთივე მნიშვნელობას ატარებს, როგორსაც ბორბალი;
- ბ) ახლო მომავალში დეზინფორმაციასთან ბრძოლა აქტიურ ფაზაში გადავა და შეამცირებს მის მიერ გამოწვეულ ნეგატიურ გავლენებს;
- გ) 2030 წლისთვის მსოფლიოში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა მსოფლიო მოსახლეობის 75%-ზე მეტი იქნება;
- დ) სოციალური ქსელების საშუალებით ინდივიდებთან კავშირს ამყარებენ როგორც სხვა ინდივიდები, აგრეთვე კერძო კომპანიებიც.

21. გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ კითხვას:

„იდეოლოგია განსხვავდება უბრალო შეხედულებისაგან იმით, რომ ის იბრალებს, თითქოს ან ისტორიის გასაღებს ფლობს, ან ყველა „სამყაროს თავსატეხის“ ამოხსნის გზას, ან სრულყოფილ ცოდნას დაფარული საყოველთაო კანონების შესახებ, რომლებიც თითქოსდა ბუნებასა და ადამიანს მართავენ. ძალიან ბევრმა იდეოლოგიამ მოიპოვა საკმარისი პოპულარობა, რომ დარწმუნების მკაცრი კონკურენტული ბრძოლისთვის გაეძლო, და მხოლოდ ორმა შეძლო მწვერვალზე ასვლა და პრინციპში ყველა დანარჩენი დაამარცხა: იდეოლოგია, რომელსაც ისტორია ესმის, როგორც კლასების ეკონომიკური ბრძოლა და მეორე, რომელსაც ისტორია ესმის, როგორც რასების ბუნებრივი ბრძოლა. ორივეს გავლენა მასებზე იმდენად ძლიერი იყო, რომ მათ შეძლეს სახელმწიფო მხარდაჭერის მოპოვება და საკუთარი თავის ეროვნულ დოქტრინებად დაფუძნება. მეტიც: საზღვრები, რომელთა შიგნით რასობრივი და კლასობრივი აზროვნება აზროვნების სავალდებულო მოდელად გადაიქცა, თავისუფალმა საჯარო მოსაზრებამ იმდენად გაითავისა, რომ არა მხოლოდ ინტელექტუალები, არამედ ადამიანთა დიდი მასებიც აღარ იღებენ წარსული და აწმყო ფაქტების წარმოდგენებს, რომლებიც ამ ორიდან ერთ-ერთი შეხედულებისანი არ არიან.“

ჰანა არენდტი, „ტოტალიტარიზმის წარმოშობა,“ 1951 წ.


რომელი მსჯელობაა მართებული ტექსტიდან გამომდინარე?

- ა) სოციალიზმი და ლიბერალიზმი ორი ყველაზე პოპულარული იდეოლოგიაა, რომლებსაც ხალხის დიდი მასები ემხრობა;
- ბ) იდეოლოგიას აქვს პრეტენზია, რომ მას აბსოლუტური ცოდნა გააჩნია საზოგადოების ისტორიული განვითარების კანონზომიერებასა და ბუნების მმართველ საყოველთაო კანონებზე;
- გ) თანამედროვეობაში მრავალი შეხედულებაა გავრცელებული, რომლებიც ისტორიის ერთადერთი სწორი ინტერპრეტაციის გზით ადამიანების საკუთარ ჭეშმარიტებაში დარწმუნებას ცდილობენ;
- დ) იდეოლოგია მარტივად ახდენს ზემოქმედებას ხალხის დიდ მასებზე, მაგრამ ის ვერ აქცევს საკუთარი ზეგავლენის ქვეშ ინტელექტუალებს, რომლებიც ყველაფერს კრიტიკულად განიხილავენ.

ინსტრუქცია

რუკის ანალიზი (№22-24)

დავალებაში მოცემულია მსოფლიო რუკა, რომელიც ასახავს ქვეყნებში ბიზნესის კეთების სიმარტივის დონეს. მას ახლავს სამი კითხვა არჩევითი პასუხებით. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს.



22. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე ბიზნესის კეთება:

ა) არგენტინაში უფრო რთულია, ვიდრე ფინეთში;

ბ) ჩინეთში უფრო რთულია, ვიდრე მადაგასკარზე;

გ) ბრაზილიაში უფრო მარტივია, ვიდრე იაპონიაში;

დ) ალჟირში უფრო მარტივია, ვიდრე დიდ ბრიტანეთში.

23. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, რომელ ჩამონათვალშია დალაგებული ქვეყნები ბიზნესის კეთების სირთულიდან სიმარტივისკენ?

ა) კანადა, ეგვიპტე, ავღანეთი;

ბ) რუსეთი, იტალია, ბოლივია;

გ) პოლონეთი, გერმანია, ნამიბია;

დ) ვენესუელა, ინდოეთი, მონღოლეთი.

24. რომელი მსჯელობაა მართებული რუკის მონაცემებიდან გამომდინარე?

ა) ევროპაში ბიზნესის კეთება ყველაზე რთული სკანდინავიის ქვეყნებშია;

ბ) ბიზნესის კეთება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უფრო რთულია, ვიდრე აზიის ქვეყნებში;

გ) შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში ბიზნესის კეთება უფრო მარტივია, ვიდრე ცენტრალური აფრიკის ქვეყნებში;

დ) სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე ბიზნესის კეთება უფრო მარტივია, ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე.

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№25)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

25. დაამყარეთ შესაბამისობა სკოლაში სწავლის პერიოდში მოსწავლისათვის განსავითარებელ უნარ-ჩვევებსა და მათ აღწერებს შორის:

უნარ-ჩვევები	აღწერა
<p>ა) კონფლიქტების მართვა</p> <p>ბ) ეფექტური კომუნიკაცია</p> <p>გ) სისტემური აზროვნება</p> <p>დ) კრიტიკული აზროვნება</p> <p>ე) სიტუაციის ანალიზი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ნაწილებსა და მთელს შორის ურთიერთმიმართებების დადგენა 2. არსებული შეხედულებებისა და წარმოდგენების გადახედვა, მათი ეჭვქვეშ დაყენება 3. პოზიციების უკან რეალური ინტერესების გამოვლენა 4. ინფორმაციის გაცვლის წესების გამოყენება 5. გარემოსა და საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების ანალიზი

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№26)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და გაასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი გასწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის გასწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

დავალება № 26

ადამიანის მოთხოვნილებები და ეკონომიკა

ადამიანებს მრავალგვარი სურვილები და საჭიროებები აქვთ, რომელთა კლასიფიკაციას სხვადასხვა მეცნიერი განსხვავებულად წარმოგვიდგენს. მაგალითად, მასლოუს თეორიის თანახმად, სიყვარულის მოთხოვნილება ყველაზე კომპლექსური საჭიროებაა ადამიანისათვის და შესაბამისად, იერარქიული პირამიდის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. იერარქიის ბაზისური საფეხური კი ისეთი სოციალური მოთხოვნილებებია, როგორცაა ჭამა, ძილი და ა.შ.

ადამიანის მოთხოვნილებები მრავალია და მათი დაკმაყოფილების რესურსები - შეუზღუდავი, შესაბამისად, პიროვნებას უწევს გონივრული არჩევანი გააკეთოს ამა თუ იმ საქონლისა და მომსახურების მისაღებად. გარკვეული საქონლის საწარმოებლად სხვადასხვა რესურსი გამოიყენება. მაგალითად, წარმოების ან მომსახურების სფეროში მომუშავე ადამიანებს ადამიანური რესურსი ეწოდება. ბუნებრივ რესურსებს წარმოადგენს საქონელი, რომელიც იქმნება და გამოიყენება სხვა საქონლის საწარმოებლად, მაგ., დაზგა ან საბეჭდი მანაქანა.

თანამედროვე სახელმწიფოებში მოქალაქეებს ევალებათ საკუთარი შემოსავლიდან გადაიხადონ გადასახადი, რომელსაც საშემოსავლო გადასახადი ეწოდება. თუკი გადასახადების გადამხდელები

თანაბრად იბეგრებიან, მაშინ ამ ტიპის სისტემას პროპორციული გადასახადი ეწოდება. თუკი გადასახადი იზრდება შემოსავალთან ერთად, მაშინ მას რეგრესული ეწოდება.

იმ სახელმწიფოებში, სადაც ეკონომიკა საბაზრო პრინციპებით იმართება, ხელისუფლების ჩარევა ბაზრის რეგულირებაში მინიმუმამდეა დაყვანილი. შესაბამისად, ასეთი სახელმწიფოს ეკონომიკა სოლიდარობის პრინციპს ეყრდნობა. სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია ბრძოლა მონოპოლიასთან, რომლის დროსაც ბაზარზე უნიკალური პროდუქტის რამდენიმე მწარმოებელია. მიუხედავად ამისა, არსებობს ნებადართული მონოპოლიებიც, მაგ., საავტორო უფლებები ან წყლისა და ელექტრო ენერჯის მომარაგების სისტემები.

საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიხედვით, რომელიც 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო დამფუძნებელმა კრებამ, სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმად მონარქიული რესპუბლიკა განისაზღვრა. წითელი არმიის შემოჭრისა და გასაბჭოების შემდეგ მიღებულ იქნა პირველი საბჭოთა კონსტიტუცია. აღნიშნული კონსტიტუციის მიხედვით აიკრძალა კერძო საკუთრება როგორც მიწის ფლობაზე, ასევე ყველა მსხვილ წარმოებასა და საწარმოო საშუალებებზე. 1989 წელს საქართველოში მრავალპარტიული არჩევნების შედეგად მოსულმა ეროვნულმა ხელისუფლებამ დაიწყო სახელმწიფო მმართველობის ფორმის ცვლილება. ამას მოჰყვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პეტიციის მიღება. 1995 წელს საქართველოს პროკურატურამ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელშიც აღიარებული იქნა თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობა.

ინსტრუქცია

სასკოლო პროექტი (№27)

დავალებაში მოცემულია პროექტის არასრული მონახაზი (აღწერილია პრობლემა და განსაზღვრულია პროექტის მიზანი). დაწერეთ ორი განსხვავებული ამოცანა და მათი განხორციელების გზები. გაითვალისწინეთ, ამოცანები უნდა შეესაბამებოდეს აღწერილ პრობლემასა და პროექტის მიზანს. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება № 27

პრობლემის აღწერა/სიტუაციის ანალიზი:

მსოფლიოში გავრცელებულმა ერთ-ერთმა პანდემიამ გამოაჩინა, თუ რამდენად მოუმზადებელი შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო, აგრეთვე საზოგადოება მსგავსი ტიპის გამოწვევისათვის. კონკრეტულად თქვენს სასკოლო თემში ძალიან დაბალია ინფორმირებულობა როგორც ძირითად ჰიგიენურ საკითხებზე, ასევე ვირუსის პრევენციის და მასთან ბრძოლის საკითხებზე.

პროექტის მიზანი:

სასკოლო თემში ვირუსის პრევენციის საკითხზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება.

ამოცანები (დაწერეთ კონკრეტული მიმართულებები პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად)

I ამოცანა:

II ამოცანა:

განხორციელების გზები (დაწერეთ კონკრეტული ნაბიჯები, აქტივობები დასახული ამოცანების გადასაჭრელად)

I ამოცანის განხორციელების გზა:

II ამოცანის განხორციელების გზა:

ინსტრუქცია

ილუსტრაციის ანალიზი (№28)

გაეცანით დავალებაში მოცემულ ილუსტრაციას. გაანალიზეთ იგი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება № 28



28.1 რა ტიპის სახელმწიფოსთვის არის დამახასიათებელი ილუსტრაციაზე მოცემული სიტუაცია?

28.2 დაასახელეთ და ახსენით რისი მეტაფორაა ილუსტრაციაზე გამოსახული ბორკილი.

28.3 ილუსტრაციაზე გამოსახული ყველა ელემენტის გამოყენებით იმსჯელეთ, რა არის ილუსტრაციის მთავარი სათქმელი და რატომ არის ის პრობლემური.

ინსტრუქცია

არგუმენტირებული მსჯელობა (№29)

გაეცანით სადისკუსიო თემას და დაასახელეთ არგუმენტები. გაითვალისწინეთ, თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი, კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული, ხოლო აზრი - დასრულებული. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება № 29

ბევრ ქვეყანაში არსებობს ზოოპარკი, რომელსაც საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს და ბევრი ქვეყნისთვის ერთგვარი სავიზიტო ბარათიც არის. მიუხედავად ამისა, ზოოპარკის არსებობას ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავს.

- A. დაასახელეთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი არგუმენტი, თუ რატომაა ზოოპარკის არსებობა გამართლებული.
- B. დაასახელეთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი არგუმენტი, თუ რატომაა ზოოპარკის არსებობა გაუმართლებელი.


ინსტრუქცია

წყაროს ანალიზი (№30)

დავალებაში მოცემულია რამდენიმე წყარო, რომელსაც ახლავს როგორც დავალებები არჩევითი პასუხებით, ასევე ღია კითხვები. გაეცანით მოცემულ წყაროებს და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

დავალება № 30

წყარო №1



კავკასიის ბარომეტრი, 2017 წ.

წყაროებზე გადასვლა: [2](#) [3](#) [4](#)

დავალებებზე გადასვლა: [30.1](#) [30.2](#) [30.3-30.7](#)

წყარო №2

„მე მგონი, ზედმეტი არ იქნება, ჩამოვაცალიბო, რას ვგულისხმობ პოლიტიკურ ძალაუფლებაში, რათა შევძლოთ, ქვეშევრდომზე ხელისუფალის ძალაუფლება განვასხვაოთ მამის ძალაუფლებისაგან შვილების მიმართ, პატრონისა მოსამსახურეების, ქმრისა - ცოლის და ბატონისა - მისი მონების მიმართ. ძალაუფლების ყველა ეს განსხვავებული სახე ხანდახან შეიძლება ერთსა და იმავე ადამიანში იყოს თავმოყრილი, მაგრამ თუ მას ამ სხვადასხვა მიმართებაში შევხედავთ, ეს შეიძლება დაგვეხმაროს კიდევ გავმიჯნოთ ძალაუფლების ეს სახეები და დავინახოთ, რით განსხვავდება ერთმანეთისგან სახელმწიფოს მმართველი, ოჯახის მამა და გემის კაპიტანი.“

პოლიტიკურ ძალაუფლებად კი ვთვლი კანონების შექმნის უფლებას, რაც მოიცავს სიკვდილით დასჯას და, მასთან ერთად, ყველა უფრო ნაკლებ სასჯელს, რაც ემსახურება საკუთრების მოწესრიგებასა და დაცვას. ასევე, საზოგადოების ძალის გამოყენებას ამ კანონების აღსასრულებლად და სახელმწიფოს გარე თავდასხმისგან დასაცავად. ყოველივე ამის გამოყენება მხოლოდ საზოგადოების სიკეთისთვის უნდა ხდებოდეს.“

ჯონ ლოკი, „მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე,“ 1689 წ.

წყარო №3

„ჩვენ ათეული წლების მანძილზე ვცხოვრობდით სხვისი ჭკუით, სხვისი სინდისით, სხვისი ნებით, სხვისი კარნახით, თავის შეუწუხებლად. ახლა აღარ გვინდა ეს. თვალი გავახილეთ, გონება გაგვეხსნა და ნამუსმა შეგვაწუხა. გვინდა გვექონდეს ვაჟკაცობა და ვცხოვრობდეთ საკუთარი ჭკუით. გვინდა დემოკრატია, მაგრამ არა მორჩილისა. გვინდა თავისუფალი ადამიანის დემოკრატია. ამიტომ ვთქვით უარი მორჩილებაზე. მაგრამ ჩვენ სსრკ-ში ვცხოვრობთ, სადაც არსებობის ძირითადი და წარმმართველი პრინციპი მორჩილებაა. ამიტომ „გაგვიმასპინძლდნენ“ ორლესული ბარებით, ქიმიური ბომბებით და ტანკებით. ეს კანონზომიერი შედეგია „დემოკრატიისა“, რომელიც უარს არ ამბობს მორჩილებაზე, რომელმაც არ იცის, რა არის თავისუფლება.“

აკაკი ბაქრაძე, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო,“ 1989 წ.

წყარო №4

„როცა ალექსანდრე ორბელიანისა და აკაკის წერილებს კითხულობთ ქართულ ბატონყმობაზე, ცხადად ჩანს, რომ ყმებს მკაფიოდ გამოკვეთილი ვალდებულებანი ჰქონდათ. მეპურეს პური უნდა გამოეცხო. სხვა საქმეს მას ვერ დაავალებდნენ. არც მეპურე გააკეთებდა. მეღვინეს ღვინო უნდა მიეტანა ბატონთან. სხვა საქმე მას არ ევალებოდა და არც გააკეთებდა. მეურმე ურმით უნდა მომსახურებოდა. სხვა ვალდებულება მას არ ედო. ერთი სიტყვით, რაც გლებს არ ევალებოდა, ვერც ბატონი დააკისრებდა და არც გლები შეასრულებდა ამ დავალებას. ტრადიციით გაუთვალისწინებელი ვალდებულების დაკისრება გაუგონარ უსამართლობად ითვლებოდა. საუკუნეების მანძილზე ცხოვრების ამგვარმა წესმა ქართველ კაცს მყარი შეგნება ჩამოუყალიბა: უნდა უპატრონოს და მოუაროს იმას, რაც მას ეკუთვნის და რისი მოვლაც ევალება. სხვა რამ მას არ ეკითხება. ეს შეგნება დღესაც ყოველ წვრილმანში ვლინდება. დააკვირდით: მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებს თუ დაათვალიერებთ, ნახავთ რა ჭუჭყსა და ნაგავშია ისინი ჩაფლული. რა უპატრონობა სუფევს. აბა, ბინებში შებრძანდით. სისუფთავისაგან ყველაფერი პრიალებს, კრიალებს, ლაპლაპებს. რატომ? იმიტომ, რომ ქართველმა იცის, ბინა მისია, სადარბაზო კი ყველასი. რაკი ყველასია, მას სადარბაზოსთან არა ესაქმება რა. ვისაც სურს, იმან მოუაროს. დიდი დრო დასჭირდება იმ შეგნების ჩამოყალიბებას, რომ ქართველმა თავისთავი საქართველოს, ქართული მიწა-წყლის პატრონად სცნოს; დაიჯეროს: ხელისუფლება კი არ არის საქართველოს პატრონი, არამედ ქართველი ხალხი.“

აკაკი ბაქრაძე, გაზეთი „საქართველო“, 1992 წ.

30.1 რომელი მოსაზრება შეესაბამება ჯონ ლოკის ტექსტს?

- ა) პოლიტიკური ძალაუფლება გადანაწილებული უნდა იყოს სხვადასხვა ადამიანზე, რათა არ მოხდეს მისი ბოროტად გამოყენება;
- ბ) ძალაუფლება სხვადასხვა სახით ვლინდება, პოლიტიკური ძალაუფლება კი განსხვავდება ბატონისა თუ მამის ხელთარსებული ძალაუფლებისაგან;
- გ) ყველა სახის ძალაუფლება ერთი ადამიანის ხელში უნდა იყოს თავმოყრილი, რათა უზრუნველყოს საზოგადოებაში წესრიგისა და მშვიდობის შენარჩუნება;
- დ) სახელმწიფო ძალაუფლება ვრცელდება საზოგადოების არაპრივილეგირებულ წევრებზე და სწორედ მისი ეს თვისება განასხვავებს მას ძალაუფლების ყველა სხვა ფორმისაგან.

30.2 რომელი მსჯელობა შეესაბამება №4 წყაროს?

- ა) თანამედროვეობაში არსებული მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ტრადიცია ფეოდალური სისტემის დადებითი გავლენით ჩამოყალიბდა;
- ბ) საკუთარი პირადი სივრცის მოწესრიგება თითოეული მოქალაქის ვალდებულებაა, ხოლო საზოგადოებრივ სივრცეებზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს;
- გ) ვინაიდან საზოგადოებრივი საკუთრება, რომელსაც ადამიანები ერთმანეთთან ინაწილებენ, არავისად არის მიჩნეული, მის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობასაც არავინ იღებს;
- დ) ფეოდალურ სისტემაში სოციალური ფუნქციები მკაფიოდ იყო გადანაწილებული მოსახლეობაზე და შესაბამისად, ნებისმიერი ადამიანი სახელმწიფოზე უფრო დიდი ენთუზიაზმით ზრუნავდა.

- 30.3** №2 წყაროში ჯონ ლოკის მიერ დასახელებული ძალაუფლების სახეებიდან რომელი გამოხატავს გენდერულ უთანასწორობას? ავტორის მიხედვით, რაში მდგომარეობს პოლიტიკური ძალაუფლების არსი?
- 30.4** როგორ აღწერს აკაკი ბაქრაძე საბჭოთა კავშირში ცხოვრების წესს №3 წყაროში და რა არის მისი აზრით მიზეზი იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ორლესული ბარებით, ქიმიური ბომბებითა და ტანკებით „გაგვიმასპინძლდა“?
- 30.5** №3 წყაროში აკაკი ბაქრაძე ამბობს: „გვინდა დემოკრატია, მაგრამ არა მორჩილისა“. იმსჯელეთ, სრულად გამორიცხავს თუ არა დემოკრატია მორჩილებას. პასუხი დაასაბუთეთ.
- 30.6** მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითი თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და მისი გამოყენებით იმსჯელეთ №4 წყაროში აღწერილი პრობლემის შესახებ.
- 30.7** №1 წყაროზე დაყრდნობით, როგორია საქართველოში მთავრობის აღქმა? იმსჯელეთ, რატომ არის ამგვარი აღქმა პრობლემური.